

ბლოკ „ტრადიციონალისტები, ჩვენი საქართველო და ქალთა პარტიის“

2008 წლის საარჩევნო პროგრამა

ბლოკი „ტრადიციონალისტები, ჩვენი საქართველო და ქალთა პარტია“ მიიჩნევს, რომ სადღეისოდ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა არის სასიცოცხლო მნიშვნელობის უპირველესი ამოცანა, რომელიც დგას ჩვენი ქვეყნის წინაშე. ყველა რესურსი, რომელიც საქართველოს გააჩნია, სწორედ აქეთ უნდა იქნას მიმართული

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პრობლემები განსხვავებულია სამართლებრივი და ისტორიული ნიშნით, და ამიტომ, არ შეიძლება მათი ერთ სიბრტყეზე დაყენება და ერთი თარგით მოგვარება.

განსხვავებით აფხაზეთისაგან ცხინვალი ცდილობს რუსეთს მიუერთდეს, რეფერენდუმით ჩაატარა ამ მიზნით. აფხაზეთი კი, დამოუკიდებლობისათვის იბრძვის.

ამიტომაც ჩვენ მიგვაჩნია, რომ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის საკითხები ცალ-ცალკე უნდა გადაწყდეს და პრობლემის მოგვარება უნდა დავიწყოთ აფხაზეთით.

ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი ყოველთვის იყო ქართულ-აფხაზური ურთიერთობის მშვიდობიანი და სამართლიანი მოგვარების მომხრე. 1991 წლის აფხაზ-ქართველთა საარჩევნო შეთანხმება (ე.წ. „28-26“) არ იყო ოდენ ტაქტიკური მიზნებით ნაკარნახევი, როგორც ეს დღემდე ჰგონია ზოგიერთს. ამ შეთანხმების შემუშავებისას ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი მიზნად ისახავდა აფხაზთა და ქართველთა თანაცხოვრების გარანტირებას და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფას. ამგვარად მიღწეულ იქნა კონსენსუსი და გარანტი-რებული იქნა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა

ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი იყო ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელმაც ხმა აღიმალდა სახელმწიფო საბჭოს ფორმირებების აფხაზეთში შესვლის წინააღმდეგ. და შემდეგაც, იგი ყოველთვის მოითხოვდა აფხაზეთთან პირდაპირ მოლაპარაკებას.

დღეს მდგომარეობა უკვე კატასტროფის ზღვარზეა. აფხაზეთის სეცესიის პროცესი დასკვნით ფაზაში შევიდა. რეალობას თვალთუწი უნ-

და გავეუსწოროთ. აფხაზეთის რეინტეგრაცია იმ სახით როგორც ეს იყო, დღეს შეუძლებელია. კოსოვოს აღიარების ფაქტმა, სოჭში ოლიმპიური თამაშების გამართვის გადაწყვეტილებამ და, განსაკუთრებით, პუტინის ბოლო ინიციატივებმა, ახალი ვითარება შექმნა აფხაზეთში

შექმნილი ვითარება რთულია. არჩევანიც დიდი არ არის. ქართული მხარისთვის ყველაზე ოპტიმალურ გეგმად მიგვაჩნია საკონსტიტუციო შეთანხმება აფხაზეთთან, რომლის მიხედვითაც ლტოლვილთა დაბრუნების პირობით საქართველო და აფხაზეთი ქმნიან სფედერაციას.

რაც შეეხება ცხინვალის რეგიონს, ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოში მცხოვრებ ოსი ხალხის იდენტურობისა და თვითმყოფადობის დასაცავად, მითუმეტეს, იმ პირობებში, როცა ოსთა უმეტესი ნაწილი ცხინვალის რეგიონის გარეთ ცხოვრობს, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ოსთა ეროვნულ-კულტურული ავტონომია.

ოსური მხარის კონსტრუქციული მიდგომის შემთხვევაში, რაც გულისხმობს ყველა პრობლემის მშვიდობიან მოგვარებას და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რეალურ გარანტირებას, დასაშვებად მიგვაჩნია ცხინვალის ავტონომიური ოლქის შექმნა.

წარმოდგენილი გეგმის მიზანი არის ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება.

საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები

საგარეო ურთიერთობებში პრიორიტეტული უნდა იყოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და რეგიონული უსაფრთხოების გარანტირება.

სადღეისოდ შექმნილი ვითარება იმგვარია, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა შეიძლება გარანტირებული იქნეს მხოლოდ საერთაშორისო თანამეგობრობის საქართველოსადმი კეთილგანწყობილი პოზიციის შემთხვევაში და ე.წ. დიდი სახელმწიფოების აქტიური მხარდაჭერით. განსაკუთრებით ეს ეხება ისეთ სახელმწიფოებს, როგორც არის ამერიკის შეერთებული შტატები და რუსეთი. აგრეთვე ისეთ გაერთიანებას, როგორც არის ევროკავშირი.

ფაქტია, რომ ცალმხრივმა ორიენტაციამ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ნატოზე არ გაამართლა. აშკარაა, რომ ამგვარი პოლიტიკა საქართველოს სერიოზული ტერიტორიული დანაკარგების ფა-

სად დაუჯდება. ვითარება კი ისეა გართულებული, რომ შესაძლოა ჩვენ უკვე შეუქცევადი პროცესის მოწმენი და მონაწილენი გავხდეთ.

ჯერ კიდევ არის შესაძლებლობა ოფიციალურად მივმართოთ რუსეთს, მზად არის თუ არა იგი ჩვენი ქვეყნის მიერ ნეიტრალიტეტის გამოცხადების შემთხვევაში, უარი თქვას თვითადიარებული ტერიტორიების პოლიტიკურ მხარდაჭერაზე. ხოლო რუსეთიდან დადებითი პასუხის მიღება უნდა გახდეს ნეიტრალიტეტის საკითხზე რეფერენდუმის ჩატარების საფუძველი. საბოლოო გადაწყვეტილება ამ საკითხზე უნდა მიიღონ საქართველოს მოქალაქეებმა.

რუსეთიდან უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, არამარტო საქართველოს მოსახლეობისა და საერთაშორისო საზოგადოებისათვის, არამედ თვით რუსეთის მოქალაქეთა დიდი უმრავლესობისთვისაც კი ცხადი და უკამათო გახდება თუ რატომ უნდა იყოს საქართველო ნატოს წევრი ქვეყანა, თუნდაც რუსეთის ინტერესების საზიანოდ.

ჩვენ მივიჩნევთ, რომ საქართველო განეკუთვნება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა რიგს, როგორც გეოპოლიტიკურად, ისე კულტურულად. ამიტომ, ევროპის სახელმწიფოთა ერთობაში საკუთარი ადგილის მოპოვება ქართული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ამოცანაა.

საქართველოს კავკასიაში, ევრაზიის ამ დიდ გზაჯვარედინზე, უპირატესი გეოპოლიტიკური პოზიცია გააჩნია. ამიტომაც, უშუალო მეზობლებთან აქტიური და ურთიერთხელსაყრელი ურთიერთობა საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულება უნდა იყოს. სხვაგვარად შეუძლებელი გახდება ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა იმ რთულ ვითარებაში, რაც შექმნილია კავკასიაში, აგრეთვე ახლო და შუა აღმოსავლეთში. ქართულმა საგარეო პოლიტიკამ უნდა გამოიჩინოს შესაბამისი მოქნილობა და გონიერება. ეს აუცილებელი თვისებები მას ამჟამად აშკარად აკლია.

რასაკვირველია ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობა კვლავაც რჩება უმნიშვნელოვანეს მიმართულებად. მსოფლიოს ამ უძლიერეს და ყველაზე განვითარებულ ქვეყანასთან სტრატეგიული თანამშრომლობა ყველა მიმართულებით საქართველოს ძირეული ეროვნული ინტერესების შესატყვისია. მით უფრო, რომ ძალიან მატულობს რელიგიური ექსტრემიზმისა და ტერორიზმის საფრთხე ევროპიდან შორეულ აღმოსავლეთამდე. საქართველო კი ამ დესტაბილიზაციის სარტყელის ცენტრში იმყოფება.

ძალზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური პარტნიორები უნდა გახდნენ საქართველოსათვის შავი ზღვის ქვეყნები. ეს ურთიერთობები მომგებიანი იქნება როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად.

ზოგადად, ჩვენ მომხრენი ვართ დაბალანსებული საგარეო პოლიტიკისა, რომელიც საქართველოს ძირეულ ეროვნულ ინტერესებთან შესაბამისობაში უნდა იყოს.

სამართლებრივი სახელმწიფო და ტერიტორიული მოწყობა

პოსტსაბჭოური ქვეყნების გამოცდილებამ თვალნათლივ აჩვენა, რომ შეუძლებელია თავისუფალი ეკონომიკის დამკვიდრება არასამართლებრივ სახელმწიფოში. როგორც წესი, ყველა ამგვარ სახელმწიფოში გაიფურჩქნა კორუფცია და გაიძარცვა ქვეყანა.

საქართველოში ბოლოს და ბოლოს უნდა მოხდეს ხელისუფლებათა რეალური დანაწილება და დაბალანსება. დანაწილება უნდა მოხდეს როგორც ჰორიზონტალზე (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო), ისე ვერტიკალზე (ცენტრალური, რეგიონალური, მუნიციპალური).

საქართველო უნდა გახდეს საპარლამენტო რესპუბლიკა პასუხისმგებელი პრეზიდენტით. მისაბამ მაგალითად გვეჩვენება ფინეთი, ირლანდია.

საკანონმდებლო ორგანოს ქმედუნარიანობის გაზრდისთვის მთავრობას უნდა აკომპლექტებდეს პარლამენტი. ნებისმიერი კანონპროექტი (მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტი) უნდა ექვემდებარებოდეს საპარლამენტო კანონშემოქმედებას.

სასამართლო აუცილებლად უნდა გახდეს დამოუკიდებელი, რისთვისაც აუცილებელია აღდგეს მოსამართლეთა ხელშეუხებლობა და დაინერგოს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი.

აღმასრულებელი ხელისუფლებაც უნდა დაიყოს პოლიტიკურ ხელმძღვანელობად, რომელიც ყოველი არჩევნებისას შეიცვლება, და შედარებით მუდმივი შემადგენლობის სახელმწიფო მოხელეთა კორპუსად. ყოვლად მოუთმენელია, როცა ხელისუფლების ცვლილებისას მთლიანად იცვლება სახელმწიფო მოხელეთა პერსონალური შემადგენლობა „საკუთარი“ განცხადებების საფუძველზე.

ქვეყნის რეგიონირება (ოლქები) უნდა ეფუძნებოდეს ეკონომიკო-გეოგრაფიულ და ისტორიულ პრინციპებს და სრულად შეესაბამებოდეს ჩვენი ბუნებისა და ყოფის მრავალფეროვნებას.

ქვეყნის ოლქებად დაყოფა ხელს შეუწყობს ხელისუფლების გადანაწილებას ცენტრსა და რეგიონებს შორის, აგრეთვე მცირე ქა-

ლაქების განვითარებას, მთის სიცოცხლისუნარიანობას. იმავედროულად უნდა გამოირიცხოს ეთნოსეპარატიზმის შესაძლებლობა.

რაც მთავარია, ბოლოს და ბოლოს უნდა დამკვიდრდეს ჭეშმარიტი თვითმმართველობა, როგორც მუნიციპალურ (სოფელი, თემი, დაბა, ქალაქი), ისე რეგიონალურ (ოლქი, დედაქალაქი) დონეზე. თვითმმართველ ერთეულს უნდა გააჩნდეს სუბსიდიარობა.

რასაკვირველია, ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი უნდა იყვნენ მას-მედია და არასამთავრობო არაკომერციული ორგანიზაციები.

მხოლოდ ამ პირობების დაცვის შემთხვევაში გახდება შესაძლებელი კორუფციის აღმოფხვრა და ჭეშმარიტად თავისუფალი ეკონომიკისა და რეალური დემოკრატიის დამკვიდრება.

ეკონომიკის პრიორიტეტები

საქართველოს ეკონომიკის განვითარება ქვეყნის ეროვნული ინტერესების შესაბამისად უნდა წარიმართოს. უცილებელია იმ ტენდენციათა გათვალისწინება, რაც თანამედროვე ეკონომიკას ახასიათებს. სწორად უნდა შევაფასოთ ჩვენი შესაძლებლობები და ანგარიში გავუწიოთ ტრადიციებს.

პრიორიტეტული უნდა გახდეს მაღალპროდუქტიული სოფლის მეურნეობა, კვების გადამამუშავებელი, მსუბუქი მრეწველობა და ტურიზმი, მასთან მომიჯნავე დარგებით. ქვეყნის გეო-გრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი როლი ჩვენს ეკონომიკაში უნდა შეასრულოს ტრანსპორტმა.

ამ პრიორიტეტების რეალურ განხორციელებისათვის აუცილებელია მიწაზე საგადასახადო პოლიტიკის იმგვარი ცვლილება, რომელიც სტიმულს მისცემს მეწარმეს.

აუცილებელია აგრეთვე სოფლის მეურნეობის პირდაპირი სუბსიდირება, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორცაა მევენახეობა-მეღვინეობა, მეხილეობა-მებოსტნეობა, მარცვლეული კულტურების წარმოება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოებას. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს სოფელში დასაქმებული ადამიანების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას და შესაბამის ბაზარზე საკუთარი ადგილის დამკვიდრებას.

ხელშემწყობ პირობებს შექმნით მსუბუქი და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებისათვის. სამამულო მრეწველობის გა-

მოცოცხლებამდე ეკონომიკური მეთოდებით დავიცავთ შიდა ბაზარს. ხელს შევეუწყობთ სამამულო წარმოების პროდუქციის კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზარზე.

ჩვენს ქვეყანას ტურიზმისა და ტურიზმთან დაკავშირებული ინდუსტრიის განვითარებისათვის საკმარისი პოტენციალი გააჩნია. ტრადიციულ ტურიზმთან ერთად, ჩვენს ქვეყანაში პერსპექტიულია სამთო და საზღვაო ტურიზმი, ასამოქმედებელია კლიმატური და ბალნეოლოგიური კურორტები. უთუოდ ასაღორძინებელია ტურიზმი საქართველოს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის გასაცნობად.

ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ დარგად უნდა იქცეს ტრანსპორტი. საუბარია არა მხოლოდ დიდ საავტომობილო გადაზიდვების ქსელში ჩართვასა და ნავთობ-გაზ-მილსადენებზე, არამედ რკინიგზის შემდგომ განვითარებაზე, პორტების თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვაზე, საქართველოს საჰაერო სივრცის ეფექტურ გამოყენებაზე, საკუთარი, შესაბამისი (საჰაერო, საზღვაო, საავტომობილო) კომპანიების განვითარებაზე აგრეთვე, ისეთ პერსპექტიულ და მაღალრენტაბელურ დარგზე, რო-გორც არის ელექტროენერჯის ტრანსპორტირება.

ცხადია, ამ პრიორიტეტების გამოყოფა არ ნიშნავს ეკონომიკის სხვა დარგების უგულებელყოფას. საქართველოსათვის საინტერესოა და ახლო პერსპექტივაში პრიორიტეტულად უნდა იქცეს საფინანსო ინსტიტუტების რეგიონალური ცენტრის შექმნა, სპეციალური ეკონომიკური ზონების ეფექტური ამოქმედება და თავამედროვე კავშირგაბმულობა.

მაქსიმალურად უნდა წახალისდეს მეცნიერებისა და ბიზნესის შერწყმა. პერსპექტივაში უნდა განვითარდეს მეცნიერებატევადი ტექნოლოგიები -- ინდუსტრიული, ბიოლოგიური, ინფორმაციული. განსაკუთრებული მხარდაჭერა სჭირდება ინოვაციურ შემოქმედებას (პატენტები, ნოუ-ჰაუ, სავაჭრო მარკა).

განათლება და მეცნიერება

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენი ერის ამბიციების შესაფერისი პროფესიული კადრების მომზადებასა და დასაქმებას. სხვაგვარად შეუძლებელი გახდება საქართველოს ჩადგომა მოწინავე ქვეყანათა რიგებში საშუალო ისტორიულ პერსპექტივაშიც კი.

საქართველომ უნდა შესძლოს ცოდნის გენერაციის (მეცნიერება), გავრცელებისა (განათლება), აგრეთვე გამოყენების (დანერგვა, დასაქმება) კონკურენტუნარიანი სისტემის ჩამოყალიბება. ჩვენი უმ-

თავრესი ეროვნული სიმდიდრე უნდა გახდეს კვალიფიციური კონკურენტუნარიანი მოქალაქეები.

სახელმწიფომ სრულად უნდა დააფინანსოს თერთმეტწლიანი საშუალო განათლება. ყველა საბუნებისმეტყველო საგანი სკოლაში უნდა ისწავლებოდეს სისტემურად და ცალკე პროგრამით.

უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა უნდა იყოს ფასიანი, დაფინანსება უნდა მოხდეს სახელმწიფო გრანტებით, სახელმწიფო გარანტიის მქონე სტუდენტური სესხებით და კერძო ფონდებიდან.

მასწავლებელთა მატერიალური ანაზღაურება უნდა გაუტოლდეს საშუალო რანგის ხელმძღვანელ სახელმწიფო მოხელეს. უნდა ამადლდეს პედაგოგთა სოციალური პრესტიჟი

სახელმწიფოს ზრუნვის საგანი უნდა იყოს მეცნიერება. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს მაღალტექნოლოგიური მეცნიერების განვითარებას, ქართული კულტურის შესწავლა-პოპულარიზაციას, საქართველოს ისტორიის კვლევას, მთარგმნელობით საქმიანობას, განსაკუთრებით სამეცნიერო ლიტერატურის სფეროში.

სახელმწიფო გრანტების გაცემისას (საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებებში) ფართოდ უნდა დაინერგოს სამეცნიერო თემების უცხოელ ექსპერტთა შეფასების პრაქტიკა (ცნობილ სამეცნიერო ცენტრებიდან).

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საბიბლიოთეკო ქსელის აღდგენა და გაშლა ქვეყანაში.

მაქსიმალური საგადასახადო შეღავათი უნდა გაეწიოს პოლიგრაფიულ წარმოებას და წიგნით ვაჭრობას (მათ შორის წიგნის იმპორტს).

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვა

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვა უნდა ეფუძნებოდეს სადაზღვევო უზრუნველყოფასა და არასაბიუჯეტო ფონდებს..

სახელმწიფოსაგან სამედიცინო დახმარებასა და საპენსიო უზრუნველყოფას უნდა იღებდნენ მხოლოდ კანონით განსაზღვრული სპეციალური კატეგორიის მოქალაქეები (სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირები, პროფესიონალი სამხედრო მოსამსახურეები, პოლიციელები და სხვა პარამილიტარული ფორმირებათა მოსამსახურეები, მოსამართლეები და სხვ.).

სამედიცინო დახმარება აგებული უნდა იყოს სადაზღვევო მედიცინის პრინციპზე. ხოლო ჯანდაცვის სფეროში უპირატესობა უნდა მიენიჭოს დაავადებათა პრევენციას.

სამედიცინო დახმარების გაიაფების მიზნით მაქსიმალური საგადასახადო შეღავათი უნდა დაუწესდეს სამკურნალო დაწესებულებებს, აგრეთვე ძირითადი საშუალებების, წამლების, სადიაგნოსტიკო რეაგენტებისა და კლინიკო-ლაბორატორიული მასალების იმპორტს.

საპენსიო უზრუნველყოფა უნდა მოხდეს სპეციალური არასახელმწიფო ფონდების მეშვეობით, საპენსიო მინიმუმის აუცილებელი გათვალისწინებით, ზრდადი პრინციპით, სტაჟისა და ანარიცხების შესაბამისად.

უნდა შეიქმნას სპეციალური ფონდი მრავალშვილიანი და მცირეშემოსავლიანი ოჯახებისათვის. მათში ანარიცხები განსაზღვრული უნდა იყოს სპეციალური კანონით. ყოველივე ზემოთქმულის უზრუნველსაყოფად საჭიროა სოციალური ანარიცხების გაზრდა არახელფასის, არამედ საწარმოთა მოგების გადასახადისა და დამატებული ღირებულების გადასახადის ხარჯზე.

საქართველოს ეროვნული ინტერესები მოითხოვს განსაკუთრებულ ზრუნვას მრავალშვილიან ოჯახებზე. საკანონმდებლო დონეზე უნდა არსებობდეს გარანტიები ორსული ქალებისთვის. სპეციალური ფონდიდან უნდა მოხდეს მათი სტიმულირება ყოველი მომდევნო შვილის გაჩენის შემთხვევაში.

მართლმადიდებელი ეკლესია და მრავალკონფესიურობა

განუზომელია ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ღვაწლი ქართველთა გაერთიანების, საერთო-ეროვნული ცნობიერებისა და ეთნოფსიქოლოგიის ფორმირებაში, კულტურულ ერთად ქცევაში, აგრეთვე ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებასა და განვითარების საქმეში.

ქართული ეროვნული კულტურა, მიუხედავად სხვადასხვა აღმსარებლობის ქართველთა არსებობისა, არის უპირატესად მართლმადიდებლური. სწორედ ამიტომ, ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას ესაჭიროება სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა, მისი ორგანიზაციული მთლიანობის უზრუნველყოფა.

იმავედროულად, რეალობაა ისიც, რომ საქართველოს მოსახლეობა, და მათ შორის ქართველებიც, არ არიან ერთი აღმსარებლობის. საქართველოში მრავალი კონფესიაა და ამიტომ სახელმწიფო უნდა

უზრუნველყოფდეს მათი საკულტო მსახურების აღსრულებისათვის შესაბამის მორალურ და სამართლებრივ გარემოს.

ნებისმიერი რელიგიური ორგანიზაცია უფლებამოსილი უნდა იყოს აღასრულოს საკულტო მსახურება, თუ მისი საქმიანობა არ ეწინააღმდეგება საზოგადოებაში არსებულ ზნეობრივ სტანდარტებს (მათ შორის სახელმწიფოს პატივისცემას) და არ ხელყოფს მოქალაქის კონსტიტუციურ უფლებებს.

ბუნების დაცვა

საქართველოს ბუნება, მისი მრავალფეროვნება, ქვეყნის სიმდიდრეა. იგი მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ფაქტორია, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ქართველი ადამიანის ჩამოყალიბებაში.

ამ ძვირფას ფაქტორს შენარჩუნება და გონივრული გამოყენება სჭირდება. ქალაქმშენებლობა და, საერთოდ, ანთროპოგენური აქტივობა, სრულ ჰარმონიაში უნდა იყოს ბუნებასთან. საქართველოს კანონმდებლობა და მისი აღსრულების მექანიზმები ბუნების დაცვის სრულ გარანტიას უნდა იძლეოდნენ.

ბოლოთქმა

ბლოკი „ტრადიციონალისტები, ჩვენი საქართველო და ქალთა პარტია“ აცხადებს, რომ მისი ძირითადი მიზანია ადაღინოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და საქართველოს მოსახლეობას შეუქმნას ცხოვრებისა და მოქმედების ისეთი პირობები, როგორცაა:

დამოუკიდებლობა -- უცხო სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი განვითარება;

უსაფრთხოება -- ქვეყნისა და მოსახლეობის დაცვა ნებისმიერი სახის საფრთხისაგან, როგორცაა: აგრესია გარედან; ეკონომიკური დივერსია; კრიმინალური ხელყოფა; ანტიკონსტიტუციური აქცია; სახელმწიფო ინსტიტუტების არაქმედუნარიანობა;

თავისუფლება -- ადამიანის უფლებების დაცვა; კანონის უზენაესობა; თვითმმართველობა ყველა დონეზე; სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება. ქვეყნის მოქალაქეთა მთავარი მახასიათებელი უნდა გახდეს ღირსება, საქართველო კი -- თავისუფალ და ღირსეულ მოქალაქეთა სახელმწიფო;

ეროვნული ერთიანობა -- ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, აფხაზურ-ქართული ერთობის მიღწევა, ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების უფლებათა დაცვა, მათი პრობლემების მშვიდობიანი მოგვარება;

კეთილდღეობა -- პირობების შექმნა საქართველოს მოსახლეობის ძირეული სულიერი და მატერიალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და ეკონომიკური აღმასვლისათვის: თავისუფალი ეკონომიკის პრინციპების დაცვა; მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა; მაღალტექნოლოგიური და მეცნიერებატევადი დარგების სტიმულირება; მიწათსარგებლობის წესის შეცვლა უკუგების გაზრდის მიზნით. ურთიერთობის დარეგულირება; საგარეო ვაჭრობისა და ტურიზმის განვითარება; მოსახლეობის სოციალური დაცვა; ეროვნული კულტურის მხარდაჭერა; მსოფლიო ცივილიზაციურ პროცესებში საქართველოს მონაწილეობის უზრუნველყოფა;

მშვიდობა -- კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობა მეზობელ სახელმწიფოებთან და ერებთან, დაგების მშვიდობიანად მოგვარება, აქტიური მონაწილეობა მთელს მსოფლიოში მშვიდობის დამყარებასა და სტაბილიზაციაში

დემოგრაფიული უსაფრთხოება -- ღონისძიებათა მთელი სისტემური კომპლექსის გატარება, რომლის ძირითადი წილი ზემოთ ჩამოთვლილ პირობებზე მოდის. განსაკუთრებული პრიორიტეტის მინიჭება ისეთ ტრადიციულ ინსტიტუტებზე, როგორცაა ოჯახი და ეკლესია. ადეკვატური სოციალური და იმიგრაციული პოლიტიკის გატარება.

ჩვენ შევძლებთ განვახორციელოთ ახალი დროის ყველაზე სასურველი ელემენტების (მატერიალური კეთილდღეობა, უმუშევრობის დაბალი დონე, ფართო პოლიტიკური უფლებები) შერწყმას ისეთ ტრადიციულ ღირებულებებთან, როგორცაა სტაბილური ოჯახი და გამთლიანებული საზოგადოება.

ჩვენ მოკლედ გაგაცანით საკუთარი შეხედულებები საქართველოში შექმნილ ვითარებაზე და ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტის გზებზე. რაც შეეხება ადამიანებს, რომლებმაც თქვენი კეთილგანწყობის შემთხვევაში უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში უნდა განახორციელონ ბლოკის პროგრამა, მათი უმრავლესობა უკვე დიდი ხანია პოლიტიკურ საქმიანობას ეწევა და კარგად იცნობს როგორც მთელს ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას, ისე რეგიონების ცხოვრებას. დაგვეთანხმებით, მათ ნამდვილად შესწევთ უნარი ხელი შეუწყონ საქართველოს წინსვლას, თითოეული თქვენგანის ოჯახის კეთილდღეობას.

ჩვენი გამარჯვება თქვენი გამარჯვებაც იქნება.